ცვლილება დამტკიცებულია
შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №02,
11.02.2019წ.

რექტორი: მარინა ფირცხალავა

მაგისტრატურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აუცილებლად მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, რომელსაც შეეძლება მუშაობა მიღებული კვალიფიკაციით, როგორც სამეცნიერო-კვლევით ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
1.2. წინამდებარე დებულება აწესრიგებს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში უნივერსიტეტი) ფაკულტეტებზე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების წესსა და პირობებს;
1.3. დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ ზოგად მოთხოვნებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

მუხლი 2. მაგისტრატურის მიზნები

2.1. მაგისტრატურაში სწავლის მიზანია:
ა) მაგისტრანტს გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევის ჩვევები, მისცეს ღრმა ცოდნა, სპეციალობის შეცვლის შესაძლებლობა მის მიერ არჩეულ სფეროში, მოამზადოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური საქმიანობისათვის.
ბ) მაგისტრატურა ამზადებს სპეციალისტებს აქტუალური მეცნიერული მიმართულებების და საბაზრო ეკონომიკის პირობებში დამსაქმებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება

3.1. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე. აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52[1]-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სპეციალობის და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე.
ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი გათავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდისაგან.
3.2. სპეციალობაში გამოცდაზე დაიშვება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საერთო სამაგისტრო გამოცდებში;
3.3. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 4. მაგისტრატურაში მიღების პირობები

4.1. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხდება წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში კონკურსის წესით;
4.2. მაგისტრატურაში ჩარიცხვისათვის აუცილებელია:
ა) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარება.
4.3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:
ა) განცხადება;
ბ) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი, ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლები;
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4.
4.4. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შინაარს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარსა და გამოცდის/გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.
4.5. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების ორგანიზების, სააპელაციო განცხადებების წარდგენის ვადები, კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება რექტორის აქტით.
4.6. მაგისტრანტობის კანდიდატის საპრეტენზიო განცხადებები განიხილება უნივერსიტეტის მიერ შექმნილ საპრეტენზიო საბჭოზე. საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება

შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში.

4.7. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის გამოცდის ორგანიზების მიზნით ფაკულტეტზე იქმნება დარგობრივი საგამოცდო კომისია. გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერილობითი სახით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%-ს).
4.8. სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კონკურსანტი დაიშვება ინგლისური ენის გამოცდაზე. ინგლისური ენის გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%-ს). საკონკურსო გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ.
4.9. უნივერსიტეტი მის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს ანიჭებს კოეფიციენტებს, რომელთა ჯამი 100-ის ტოლია.
4.10. უნივერსიტეტი მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ხდება მაგისტრატურაში ჩარიცხვა.

მუხლი 5. მაგისტრატურაში სწავლა

5.1. მაგისტრატურაში სწავლის ვადაა 2 წელი და საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტებს. პროგრამის მთლიანი მოცულობის არანაკლებ 30% უნდა დაეთმოს კვლევის კომპონენტებს.
5.2. მაგისტრატურაში სწავლის ფორმა ხორციელდება დასწრებული სწავლების ფორმით ან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შესაბამისად. ინდივიდუალური სასაწავლო პროგრამა გულისხმობს მაგისტრატურის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სასწავლო გეგმის შინაარსს, მოცულობასა და ათვისების წესს. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შეიძლება შემუშავდეს, როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის.
5.3. მაგისტრანტს უფლება აქვს დასაბუთებულად მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენა და მონაწილეობა მიიღოს მის შესრულებაში. მაგისტრანტის ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემთხვევაში ერთ კრედიტში საკონტაქტო საათების რაოდენობა არ შეიძლება იყოს 3 საათზე ნაკლები.
5.4. უნივერსიტეტში ერთი კრედიტი 25 საათის ტოლია.
5.5. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში კრედიტის მიღება ხდება მაგისტრანტის მიერ სემესტრის განმავლობაში სამუშაოს წარმატებით დასრულებით და დადებითი შეფასების შემთხვევაში.

მუხლი 6. მაგისტრანტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

მაგისტრანტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
6.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
6.2. დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა;
6.3. სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა;
6.4. პირადი განცხადება;
6.5. გარდაცვალება;
6.6. შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და ფაკულტეტის დებულებით დადგენილი სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობა;
6.7. უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
6.8. გარდა სტატუსის შეწყვეტისა უნივერსიტეტში მოქმედებს სტატუსის შეჩერების წესი. მაგისტრანტისათვის სტატუსის შეჩერება ხდება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით.
6.9. მაგისტრანტის სტატუსის შეჩერების და აღდგენის შესახებ სამართებლივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი;

მუხლი 7. მობილობა

7.1. უნივერსიტეტი უშვებს მაგისტრანტის მობილობას, როგორც საკუთარი, ისე სხვა აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრანტებისათვის.
7.2. მობილობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.